

საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2019 წლის იანვარი-სექტემბერი

2019 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 9 193.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 0.5 პროცენტით მეტია.

- ექსპორტი გაიზარდა 11.1%-ით და 2 719.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა;
- იმპორტი შემცირდა 3.3%-ით და 6 474.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 2019 წლის იანვარ-სექტემბერში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 12%-ით შემცირდა, 3 755.3 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.8 პროცენტი შეადგინა.

ამასთან, 2019 წლის იანვარ - სექტემბერში იმპორტის შემცირებისა და ექსპორტის ზრდის ტემპის შესაბამისად, ექსპორტის წილი ბრუნვაში 2.9%-ით გაიზარდა და 29.6%-ით განისაზღვრა (2018/9 – 26.7%).

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის დინამიკა 2012/9-2019/9 წლებში

წლები	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019/9
ბრუნვა	10 433	10 933	11 463	9 505	9 408	0 675	12 476.3	9 193.7
ზრდის ტემპი (%)	13%	5%	5%	-17%	-1%	14%	17%	0.5%
ექსპორტი	2 377	2 910	2 861	2 205	2 113	2 736	3 354.9	2 719.2
ზრდის ტემპი (%)	9%	22%	-2%	-23%	-4%	29%	22.9%	11.1%
წილი ბრუნვაში	22.8%	26.6%	25%	23.2%	22.5%	25.6%	26%	29.6%
იმპორტი	8 056	8 023	8 602	7 300	7 295	7 939	9 121.4	6 474.5
ზრდის ტემპი (%)	14%	-0.2%	7%	-15%	-0.1%	8.8%	15%	-3.3%
წილი ბრუნვაში	77.2%	73.4%	75%	76.8%	77.5%	74.4%	73%	70%
სალდო	-5 679	-5 113	-5 741	-5 095	-5 182	5 204	-5 766.4	-3 755.3

საქართველო-ევროკავშირი

სავაჭრო ბრუნვა შემცირდა 4.6%-ით, 2 287.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 24.9% დაიკავა.

- ექსპორტი - 620.1 მლნ. აშშ დოლარი, 16.3%-ით მეტი და საქართველოს ექსპორტის 22.8%;
- იმპორტი - 1 667.5 მლნ. აშშ დოლარი, 10.6%-ით ნაკლები და საქართველოს იმპორტის 25.8%.

2019 წლის იანვარ-სექტემბერში ევროკავშირში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 31%-ით (34.0 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები) შემცირდა და 77.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა 19%-ით (121.0 მლნ. აშშ დოლარით მეტი) და 542.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგი სასაქონლო პოზიციების ხარჯზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია:

ღვინო - ექსპორტი 14.7 მლნ. აშშ დოლარი (9%-ით და 1.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პოლონეთი (43%), ლატვია (18%), გერმანია (11%), ესტონეთი (8%), ლიეტუვა (8%).
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: პოლონეთი (14%), ლიეტუვა (34%);
- ექსპორტი შემცირდა: ლატვია (13%).

ახალი ან შეყინული ბოსტნეული (მწვანილი) - ექსპორტი 0,82 მლნ. აშშ დოლარი (49%-ით და 0,27 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუმინეთი (56%), ლატვია (26%), საბერძნეთი (11%), ბულგარეთი (6%);
- ექსპორტი გაიზარდა შემდეგ ქვეყნებში: რუმინეთი (42%), ლატვია (120%), საბერძნეთი (72%);

მცენარეები სამკურნალო და პარფიუმერული დანიშნულებით - ექსპორტი 0.8 მლნ. აშშ დოლარი (40%-ით და 0.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (74%), პოლონეთი (20%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: გერმანიაში (7%), პოლონეთში (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით)
- ექსპორტი შემცირდა საფრანგეთში (16 ათასი აშშ დოლარით, მიმდინარე წელს ექსპორტი არ განხორციელებულა)

სამრეწველო პროდუქცია:

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - ექსპორტი 369.0 მლნ. აშშ დოლარი (69%-ით და 150.1 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ბულგარეთი (52%), რუმინეთი (39%), ესპანეთი (9%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ბულგარეთი (17%), რუმინეთი (3-ჯერ), ესპანეთი (71%).

ქალის მზა ტანსაცმელი (პალტოები, ლაბადები) - ექსპორტი 6.0 მლნ. აშშ დოლარი (131% და 3.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: იტალია (78%), გერმანია (21%);
- ექსპორტი გაიზარდა: იტალიაში (3-ჯერ).

აირის ტურბინები - ექსპორტი 5.0 მლნ. აშშ დოლარი (176%-ით და 3.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი). რე-ექსპორტმა მთლიან ექსპორტში 95% დაიკავა.

- ექსპორტი სრული მოცულობით განხორციელდა გერმანიაში (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა);
- ექსპორტი შემცირდა: ჩეხეთში (1.8 მლნ. აშშ დოლარით, მიმდინარე წელს ექსპორტი არ განხორციელებულა).

მსუბუქი ავტომობილები - ექსპორტი (რე-ექსპორტი) 10.7 მლნ. აშშ დოლარი (39%-ით და 3.0 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ბელგია (50%), სლოვენია (12%), ბულგარეთი (11%), ჩეხეთი (12%), ნიდერლანდები (7%);
- ექსპორტი გაიზარდა: ბელგიაში (10%), სლოვენია (66%), ბულგარეთი (155%), ჩეხეთში (3-ჯერ), ნიდერლანდებში (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა);
- ექსპორტი შემცირდა: გერმანიაში (12%).

რეზინის პნევმატური სალტეები და საბურავები - ექსპორტი 22.5 მლნ. აშშ დოლარი (1%-ით და 0.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი). რე-ექსპორტმა მთლიან ექსპორტში 98% დაიკავა.

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ნიდერლანდები (38%), გაერთიანებული სამეფო (18%), გერმანია (14%), ესტონეთი (13%), ბელგია (10%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ესტონეთი (3.2 მლნ. აშშ დოლარით) და გაერთიანებულ სამეფო (4.0 მლნ. აშშ დოლარით) ამ ქვეყნებში წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა, ასევე გერმანია (21%);
- ექსპორტი შემცირდა: ბელგიაში (69%), ნიდერლანდებში (33%).

ექსპორტი შემცირდა შემდეგი სასაქონლო კოზიციებზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია:

სპირტიანი ალკოჰოლური სასმელები - ექსპორტი 13.5 მლნ. აშშ დოლარი (63% და 23.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). რე-ექსპორტმა მთლიან ექსპორტში 80% დაიკავა.

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: საფრანგეთი (41%), ნიდერლანდები (26%), გაერთიანებული სამეფო (11%), ლატვია (7%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: საფრანგეთი (68%), ნიდერლანდები (20%), ესპანეთი (98%);
- ექსპორტი გაიზარდა: ლატვიაში (64%).

თხილი - ექსპორტი 19.3 მლნ. აშშ დოლარი (23%-ით და 5.8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (31%), იტალია (22%), ესპანეთი (10%), ლიეტუვა (9%), ჩეხეთი (8%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: იტალია (54%), ლიეტუვა (3%), ჩეხეთი (4%);
- ექსპორტი გაიზარდა: გერმანია (64%).

ხილის ჯემები - ექსპორტი 2.0 მლნ. აშშ დოლარი (61%-ით და 3.2 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი საექსპორტო ბაზარი: გერმანია (46%), ბელგია (38%), ბულგარეთი (10%);
- ექსპორტი შემცირდა: ავსტრია (92%), გერმანია (56%), ბელგიაში (15%).

ხილ-ბოსტნეულის კონსერვები - ექსპორტი 2.5 მლნ. აშშ დოლარი (45%-ით და 2.0 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (51%), ჩეხეთი (9%), სლოვაკეთი (7%), ავსტრია (7%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: გერმანია (27%), ავსტრია (83%), სლოვაკეთი (50%);

- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ჩეხეთში (44%)

მინერალური წყალი - ექსპორტი 12.1 მლნ. აშშ დოლარი (2%-ით და 0.3 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი საექსპორტო ბაზარი: ლიეტუვა (97%);
- ექსპორტი შემცირდა: ლიეტუვაში (3%).

გამზარი ბოსტნეულის ფქვილი - ექსპორტი 1.5 მლნ. აშშ დოლარი (3%-ით და 0.04 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (75%), ჩეხეთი (10%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ჩეხეთში (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით)
- ექსპორტი შემცირდა პოლონეთში და ჩეხეთში (მიმდინარე წელს ექსპორტი არ განხორციელებულა)

სამრეწველო პროდუქცია:

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - ექსპორტი 3.7 მლნ. აშშ დოლარი (87%-ით და 24.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გაერთიანებული სამეფო (75%), იტალია (24%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: საფრანგეთი (9.8 მლნ. აშშ დოლარით) და მალტაში (15.7 მლნ. აშშ დოლარით), მიმდინარე წელს ამ ქვეყნებში ექსპორტი არ განხორციელებულა).
- ექსპორტი გაიზარდა: გაერთიანებული სამეფო (24%).

აზოტოვანი სასუქები - ექსპორტი 23.3 მლნ. აშშ დოლარი (40%-ით და 15.2 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ლიეტუვა (26%), გაერთიანებული სამეფო (20%), რუმინეთი (17%), ბულგარეთი (17%), ესპანეთი (10%), იტალია (7%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: ლიეტუვა (61%), ბულგარეთი (60%), იტალია (65%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუმინეთი (137%), გაერთიანებული სამეფო (124%).

შავი ლითონის მიღები - ექსპორტი 2.8 მლნ. აშშ დოლარი (51% და 2.9 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (58%), იტალია (28%), ბულგარეთი (6%).
- ექსპორტი შემცირდა: იტალიაში (74%), გერმანიაში (27%);
- ექსპორტი გაიზარდა: ბულგარეთი (65%).

მინის ტევადობები - ექსპორტი 3.9 მლნ. აშშ დოლარი (20%-ით და 1.0 მლნ აშშ დოლარით ნაკლები) სრული ექსპორტი განხორციელდა საფრანგეთში.

იმპორტი

ევროკავშირიდან **სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის** იმპორტმა 2019 წლის იანვარი-სექტემბერში **203.0** მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 11%-ით და 25.0 მლნ. აშშ დოლარით ნაკლებია, ხოლო **სამრეწველო პროდუქციის** იმპორტმა შეადგინა **1 465** მლნ. აშშ დოლარი, 10%-ით და 171 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები.

იმპორტი შემცირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

სპირტი - იმპორტი 1.9 მლნ. აშშ დოლარი (87%-ით და 12.2 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ნიდერლანდი (42%), გაერთიანებული სამეფო (35%);
- იმპორტი შემცირდა: ნიდერლანდები (52%), გაერთიანებული სამეფო (90%).

შაქარი - იმპორტი 19.3 მლნ. აშშ დოლარი (24%-ით და 6.2 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: პოლონეთი (61%), საფრანგეთი (19%), ბელგია (13%);
- იმპორტი შემცირდა: პოლონეთიდან (30%), საფრანგეთი (18%).

რძე და ნაღები შაქრის დამატებით - იმპორტი 5.5 მლნ. აშშ დოლარი (16%-ით და 1.0 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: გერმანია (30%), საფრანგეთი (27%), ნიდერლანდები (27%);
- იმპორტი შემცირდა: ნიდერლანდებიდან (32%), გერმანია (11%).

საკვები ინგრედიენტები - იმპორტი 14.1 მლნ. აშშ დოლარი (16%-ით და 1.0 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: გერმანია (23%), იტალია (15%), პოლონეთი (10%);
- იმპორტი შემცირდა: იტალიიდან (14%), პოლონეთიდან (31%).

ფრინველის ხორცი - იმპორტი 14.4 მლნ. აშშ დოლარი (11%-ით და 1.8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ნიდერლანდები (24%), გერმანია (28%), საფრანგეთი (13%), გაერთიანებული სამეფო (9%);
- იმპორტი შემცირდა: ბელგიიდან (59%), ნიდერლანდებიდან (33%).

სამრეწველო პროდუქცია

ტურბორეაქტიული ძრავები - იმპორტი მიმდინარე წელს არ განხორციელებულა (შემცირდა ნიდერლანდებიდან 44.0 მლნ. აშშ დოლარით).

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - იმპორტი 212.3 მლნ. აშშ დოლარი (20%-ით და 53.6 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: რუმინეთი (62%), ბულგარეთი (19%), საბერძნეთი (14%), გერმანია (2%);
- იმპორტი შემცირდა: საბერძნეთიდან (38%), ბულგარეთიდან (34%), რუმინეთიდან (10%).

საქონელი ატრაქციონებისათვის - იმპორტი 4.8 მლნ. აშშ დოლარი (77%-ით და 15.9 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ბულგარეთი (44%), ესპანეთი (8%), ავსტრია (9%), გაერთიანებული სამეფო (8%), ლატვია (7%), გერმანია (6%);
- იმპორტი შემცირდა: ბულგარეთიდან (83%);

მოწყობილობები წიაღისეულის დაქუცმაცებისათვის - 5.2 მლნ. აშშ დოლარი (72%-ით და 13.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი საექსპორტო ქვეყნებია: გერმანია (77%), ავსტრია (8%), გაერთიანებული სამეფო (6%);
- იმპორტი შემცირდა: გერმანია (64%), ბელგია (მიმდინარე წელს ექსპორტი არ განხორციელებულა)

იმპორტის ზრდა დაფიქსირდა:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ცოცხალი თხები და ცხვრები - იმპორტი 1.1 მლნ. აშშ დოლარი (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტი არ განხორციელებულა);

- იმპორტი განხორციელდა რუმინეთიდან.

თამბაქოს სამრეწველო შემცველები - იმპორტი 1.7 მლნ. აშშ დოლარი (97%-ით და 0.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ბელგია (55%), შვედეთი (24%), პოლონეთი (11%);
- იმპორტი გაიზარდა: ბელგიიდან (33%), შვედეთიდან (0.3 მლნ. აშშ დოლარით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტი არ განხორციელებულა).

შოკოლადის ნაწარმი - იმპორტი 6.1 მლნ. აშშ დოლარი (6%-ით და 0.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ბელგია (39%), იტალია (18%), ნიდერლანდები (14%), გერმანია (13%), პოლონეთი (12%);
- იმპორტი გაიზარდა: ნიდერლანდებიდან (22%), ბელგიიდან (2%), პოლონეთი (53%).

სამრეწველო პროდუქცია

მსუბუქი ავტომობილები - იმპორტი 82.9 მლნ. აშშ დოლარი (55%-ით და 29.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: გერმანია (48%), გაერთიანებული სამეფო (29%), ბელგია (5%);
- იმპორტი გაიზარდა: გაერთიანებული სამეფო (3-ჯერ), ბელგიიდან (4-ჯერ).

საბურღი მანქანა დანადგარები - იმპორტი 26.0 მლნ. აშშ დოლარი (13-ჯერ და 24.0 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: გერმანია (89%), ფინეთი (6%), იტალია (2%);
- იმპორტი გაიზარდა: გერმანიიდან (22.0 მლნ. აშშ დოლარით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტი არ განხორციელებულა).

მიკროავტობუსები - იმპორტი 11.1 მლნ. აშშ დოლარი (5-ჯერ და 9.0 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: პოლონეთიდან (75%), გერმანიიდან (14%), ესპანეთიდან (6%);
- იმპორტი გაიზარდა: პოლონეთიდან (8.3 მლნ. აშშ დოლარით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში 0.1 მლნ. აშშ დოლარის იმპორტი განხორციელდა).

საქართველო-დსთ

სავაჭრო ბრუნვა შემცირდა 0.9%-ით, 3 135.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 34% დაიკავა.

- ექსპორტი - 1 430.9 მლნ. აშშ დოლარი, 23.2%-ით მეტი და საქართველოს ექსპორტის 52.6%;
- იმპორტი - 1 704.7 მლნ. აშშ დოლარი, 12.4%-ით ნაკლებია და საქართველოს იმპორტის 26.3%.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ექსპორტი შემცირდა 4%-ით და 426.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა 41%-ით და 1 004 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტის ზრდა განხორციელდა შემდეგი სასაქონლო პოზიციების ხარჯზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ღვინო - ექსპორტმა შეადგინა 119.0 მლნ. აშშ დოლარი (11%-ით და 12.0 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: რუსეთი (78%), უკრაინა (13%), ყაზახეთი (5%), ბელარუსი (3%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (12%), უკრაინა (10%), ბელარუსი (35%);
- ექსპორტი შემცირდა ყაზახეთში (9%).

მინერალური წყლები - ექსპორტმა შეადგინა 83.3 მლნ. აშშ დოლარი (28%-ით და 18.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: რუსეთი (54%), უკრაინა (20%), ყაზახეთი (14%), ბელარუსი (8%), უზბეკეთი (3%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთში (24%), უკრაინაში (29%), ყაზახეთი (43%), უზბეკეთი (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა);

სპირტიანი სასმელები - ექსპორტმა 56.5 მლნ. აშშ დოლარი (*მ.შ. რე-ექსპორტი 12%*) შეადგინა (17%-ით და 8.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: რუსეთი (40%), უკრაინა (38%), ბელარუსი (8%), სომხეთი (6%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (57%), ბელარუსი (31%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: უკრაინა (3%), ყირგიზეთი (21%).

ახალი კურკოვანი ხილი - ექსპორტმა შეადგინა 17.1 მლნ. აშშ დოლარი (85% და 7.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა რუსეთში (92%);
- ექსპორტი გაიზარდა რუსეთში (105%).

სანელებლები - ექსპორტმა შეადგინა 4.8 მლნ. აშშ დოლარი (14%-ით და 0.6 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა რუსეთში (67%) და უკრაინაში (22%);
- ექსპორტი გაიზარდა რუსეთში (26%);
- ექსპორტი შემცირდა უკრაინაში (5%).

სამრეწველო პროდუქცია

მსუბუქი ავტომობილები - ექსპორტმა (რე-ექსპორტი) შეადგინა 391.0 მლნ. აშშ დოლარი (59% და 145.0 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (42%), სომხეთი (33%), უკრაინა (14%), ყირგიზეთი (7%), რუსეთი (1%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (38%), სომხეთი (77%), უკრაინა (35%);
- ექსპორტი შემცირდა რუსეთში (17%).

სამკურნალო საშუალებები - ექსპორტმა 137.3 მლნ. აშშ დოლარი (*მ.შ. რე-ექსპორტი 96%*) შეადგინა (43%-ით და 41.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: უზბეკეთი (36%), აზერბაიჯანი (16%), უკრაინა (11%), რუსეთი (10%), ყირგიზეთი (10%), თურქმენეთი (4%), სომხეთი (4%), ყაზახეთი (3%), ბელარუსი (3%);
- ექსპორტი გაიზარდა: უკრაინაში (7-ჯერ), ყირგიზეთში (70%), უზბეკეთში (50%).
- ექსპორტი შემცირდა აზერბაიჯანში (13%), ბელარუსში (21%).

აზოტოვანი სასუქები - ექსპორტმა შეადგინა 42.1 მლნ. აშშ დოლარი (175% და 26.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: უკრაინა (65%), აზერბაიჯანი (8%), თურქმენეთი (6%), სომხეთი (8%);
- ექსპორტი გაიზარდა: უკრაინაში (186%), აზერბაიჯანში (5-ჯერ), თურქმენეთში წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა;
- ექსპორტი შემცირდა სომხეთში 29%-ით.

სატვირთო ავტომობილები - ექსპორტმა (რე-ექსპორტი) შეადგინა 27.9 მლნ. აშშ დოლარი (57% და 10.1 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: სომხეთი (71%), აზერბაიჯანი (27%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (96%), სომხეთი (58%).

ციანიდები და ოქსიციანიდები - ექსპორტმა შეადგინა 8.0 მლნ. აშშ დოლარი (11% და 0.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: სომხეთი (61%), აზერბაიჯანი (38%);
- ექსპორტი გაიზარდა: სომხეთში (12%), აზერბაიჯანში (19%).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

უალკოჰოლო სასმელები - ექსპორტმა შეადგინა 19.8 მლნ. აშშ დოლარი (7%-ით და 1.5 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: რუსეთი (44%), აზერბაიჯანი (27%), სომხეთი (15%), ყაზახეთი (7%);
- ექსპორტი შემცირდა აზერბაიჯანში (48%), ყაზახეთში (24%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: სომხეთი (66%), რუსეთი (30%).

თამბაქოს მზა ნაწარმი - ექსპორტმა (რე-ექსპორტი) 36.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (62% და 59.0 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (79%), ყაზახეთი (13%), რუსეთი (3%);
- ექსპორტი შემცირდა აზერბაიჯანში (57%), უზბეკეთში (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში გავიდა 8.4 მლნ აშშ დოლარის, ხოლო წელს ამ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა);
- ექსპორტი გაიზარდა რუსეთში (1.2 მლნ. აშშ დოლარი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა).

თხილი - ექსპორტმა შეადგინა 6.8 მლნ. აშშ დოლარი (66%-ით და 13.0 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: რუსეთი (32%), უკრაინა (16%), ყაზახეთი (18%), ბელარუსი (15%), ყირგიზეთი (13%), სომხეთი (9%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: რუსეთი (60%), უკრაინა (32%), სომხეთი (94%);
- ექსპორტი გაიზარდა ყირგიზეთში (0.9 მლნ. აშშ დოლარი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა), ყაზახეთში (29%) და ბელარუსში (3-ჯერ).

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - ექსპორტმა შეადგინა 6.7 მლნ. აშშ დოლარი (36%-ით და 3.7 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ექსპორტი სრული მოცულობით განხორციელდა აზერბაიჯანში.

სამრეწველო პროდუქცია

წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან - ექსპორტმა შეადგინა 5.9 მლნ. აშშ დოლარი (45%-ით და 4.8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (59%), თურქმენეთი (38%);
- ექსპორტი შემცირდა აზერბაიჯანიდან (48%);

- ექსპორტი გაიზარდა თურქმენეთში (4%).

ფეროშენადნობები - ექსპორტმა შეადგინა 104.3 მლნ. აშშ დოლარი (2%-ით და 2.3 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: რუსეთი (94%), აზერბაიჯანი (3%), ყაზახეთი (2%);
- ექსპორტი გაიზარდა: ყაზახეთში (13-ჯერ);
- ექსპორტი შემცირდა აზერბაიჯანში (45%) და რუსეთში (2%).

იმპორტი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 10%-ით შემცირდა და 436.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, სამრეწველო პროდუქციის იმპორტი შემცირდა 13%-ით და 1 268 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი შემცირდა შემდეგი სასაქონლო პოზიციების ხარჯზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

თამბაქოს მზა ნაწარმი - იმპორტმა შეადგინა 54.4 მლნ. აშშ დოლარი (44%-ით და 43.6 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა: უკრაინიდან (88%), ბელარუსიდან (4%), რუსეთიდან (4%);
- იმპორტი შემცირდა უკრაინიდან (44%);
- იმპორტი გაიზარდა ბელარუსიდან (31%).

ხორბალი - იმპორტმა შეადგინა 74.2 მლნ. აშშ დოლარი (14%-ით და 11.7 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- იმპორტი განხორციელდა: რუსეთიდან (79%), ყაზახეთიდან (21%);
- იმპორტი შემცირდა რუსეთიდან (82%);
- იმპორტი გაიზარდა ყაზახეთიდან (9%).

მცენარეული ზეთი - იმპორტმა შეადგინა 24.6 მლნ. აშშ დოლარი (14%-ით და 4.0 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: რუსეთი (87%), უკრაინა (7%), აზერბაიჯანი (6%);
- იმპორტი შემცირდა როგორც უკრაინიდან (51%), ასევე რუსეთიდან (10%);

შოკოლადის მზა ნაწარმი - იმპორტმა შეადგინა 23.4 მლნ. აშშ დოლარი (2%-ით და 0.5 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: რუსეთი (69%) და უკრაინა (26%).
- იმპორტი შემცირდა უკრაინიდან (3%);

ეთილის სპირტი - იმპორტმა შეადგინა 3.3 მლნ. აშშ დოლარი (69% და 7.3 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: მოლდოვა (38%), უკრაინა (25%), ბელარუსი (24%), რუსეთი (13%).

- იმპორტი შემცირდა შემდეგი ქვეყნებიდან: რუსეთი (87%), მოლდოვა (67%), ბელარუსი (23%), სომხეთიდან წლის ამ პერიოდში იმპორტი არ განხორციელებულა, ხოლო წინა წლის იგივე პერიოდში შემოვიდა 1.9 მლნ აშშ დოლარის.
- იმპორტი გაიზარდა უკრაინიდან 0.7 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის ამ პერიოდში იმპორტი არ განხორციელებულა.

სამრეწველო პროდუქცია

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - იმპორტმა შეადგინა 279.0 მლნ. აშშ დოლარი (23%-ით და 84.8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: რუსეთი (50%), აზერბაიჯანი (68%), თურქმენეთი (25%);
- იმპორტი შემცირდა ქვეყნებიდან: თურქმენეთი (43%), აზერბაიჯანი (8%).

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - იმპორტმა შეადგინა 168.2 მლნ. აშშ დოლარი (24%-ით და 53.8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- იმპორტი განხორციელდა: სომხეთიდან (98%) და აზერბაიჯანიდან (2%).
- იმპორტი შემცირდა სომხეთიდან (23%) და აზერბაიჯანიდან (54%).

წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან - იმპორტმა შეადგინა 28.6 მლნ. აშშ დოლარი (39%-ით და 17.9 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა: უკრაინიდან (55%), აზერბაიჯანიდან (42%), რუსეთიდან (3%).
- იმპორტი შემცირდა უკრაინიდან (53%) და რუსეთიდან (82%);
- იმპორტი გაიზარდა აზერბაიჯანიდან (49%).

იმპორტი გაიზარდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ხორბლის ფქვილი - იმპორტმა შეადგინა 3.3 მლნ. აშშ დოლარი (16%-ით და 0.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- იმპორტი განხორციელდა: რუსეთი (70%), ყაზახეთი (20%);
- იმპორტი გაიზარდა რუსეთიდან (10%), ასევე ყაზახეთიდან წინა წელს იმპორტი არ განხორციელებულა.

ცხოველების საკვები - იმპორტმა შეადგინა 7.2 მლნ. აშშ დოლარი (22%-ით და 1.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- იმპორტი განხორციელდა: უკრაინა (65%), რუსეთი (35%);
- იმპორტი გაიზარდა რუსეთიდან (37%), უკრაინიდან (14%).

თამბაქოს სამრეწველო შემცველები - იმპორტმა შეადგინა 10.0 მლნ. აშშ დოლარი. წინა წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტი არ განხორციელებულა.

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა: სომხეთიდან (48%), უკრაინიდან (46%).

სამრეწველო პროდუქცია

ბუნებრივი აირი - იმპორტმა შეადგინა 223.0 მლნ. აშშ დოლარი (9%-ით და 18.1 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- იმპორტი განხორციელდა: აზერბაიჯანი (90%), რუსეთი (10%);
- იმპორტი გაიზარდა რუსეთიდან (2-ჯერ), აზერბაიჯანიდან (5%).

საბეჭდი ქაღალდი - იმპორტმა შეადგინა 3.3 მლნ. აშშ დოლარი (15%-ით და 0.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი). იმპორტის სრული მოცულობა ხორცილდება რუსეთიდან.


მინის ტევადობები - იმპორტმა შეადგინა 24.3 მლნ. აშშ დოლარი (17%-ით და 3.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- იმპორტი გაიზარდა ქვეყნებიდან: რუსეთი (54%), სომხეთი (28%), უკრაინა (8%), მოლდოვა (8%);
- იმპორტი გაიზარდა რუსეთიდან (41%) და მოლდოვიდან (5%);
- იმპორტი შემცირდა უკრაინიდან (10%) და სომხეთიდან (8%).

საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები

2019 წლის იანვარ-სექტემბერში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67% შეადგინა. პირველ ადგილზეა თურქეთი (1 293.8 მლნ. აშშ დოლარი, წილი 14.1%), მეორე ადგილზეა რუსეთი (1 032.5 მლნ. აშშ დოლარი, წილი 11.2%), ხოლო მე-3 ადგილზე ჩინეთი (772.4 მლნ. აშშ დოლარი, წილი 8.4%).


საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
2019 წლის იანვარ-სექტემბრის ბრუნვის მიხედვით



საქართველოს ექსპორტი


2019 წლის იანვარ-სექტემბერი ექსპორტის მიხედვით საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების პირველი ათეულის ჯამურმა ექსპორტმა საქართველოს მთლიანი ექსპორტის 72.6% დაიკავა. პირველ ადგილზეა რუსეთი 371.1 მლნ. აშშ დოლარით და 13.6%-იანი წილით, მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი 355.1 მლნ. აშშ დოლარით და 13.1% წილით, ხოლო მესამე ადგილზეა სომხეთი 261.3 მლნ. აშშ დოლარით და 9.6% წილით.

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
2019 წლის იანვარ-სექტემბრის ექსპორტის მიხედვით



2019 წლის წლის იანვარ-სექტემბერი, საექსპორტო ათეულში, პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები - 476.4 მლნ. აშშ დოლარით და 17.5%-იანი წილით, მეორე ადგილზე მსუბუქი ავტომობილები - 454.3 მლნ. აშშ დოლარი და 16.7%, ხოლო მესამე ადგილზე ფეროშენადნობები 240.0 მლნ. აშშ დოლარი და 8.8%.

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს ექსპორტში
2019 წლის იანვარ-სექტემბერი



ექსპორტი სტრუქტურულ ჭრილში

სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის ექსპორტმა 605.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (12%-ით და 78.8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები), ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტმა 2 113.7 მლნ. აშშ დოლარი (20%-ით და 350.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

2019/9 წელს ექსპორტის ზრდა განხორციელდა შემდეგი პროდუქციის ზრდის ხარჯზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ღვინო - ექსპორტი 152.1 მლნ. აშშ დოლარი (9.5%-ით და 13.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი (92.2 მლნ. აშშ დოლარი და 60%), უკრაინა (15 მლნ. აშშ დოლარი და 10%), ჩინეთი (13,6 მლნ. აშშ დოლარი და 9%), პოლონეთი (6.3 მლნ. აშშ დოლარი და 4%), ყაზახეთი (5.7 მლნ. აშშ დოლარი და 4%), ბელარუსი (3.8 მლნ. აშშ დოლარი და 2.5%), ლატვია (2.6 მლნ. აშშ დოლარი და 2%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ბელარუსი (34%), პოლონეთი (14%), რუსეთი (12%), უკრაინა (10%), ჩინეთი (0%);
- ექსპორტი შემცირდა ყაზახეთში (19%), ლატვიაში (13%).

მინერალური წყალი - ექსპორტი 97.8 მლნ. აშშ დოლარი (23%-ით და 18.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი (43.9 მლნ. აშშ დოლარი და 45%), უკრაინა (16.5 მლნ. აშშ დოლარი და 16.8%), ლიეტუვა (11.6 მლნ. აშშ დოლარი და 11.8%), ყაზახეთი (11.3 მლნ. აშშ დოლარი და 11.5%), ბელარუსი (6.7 მლნ. აშშ დოლარი და 6.8%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (24%), უკრაინა (28%), ყაზახეთი (43%);
- ექსპორტი შემცირდა: ლიეტუვაში (3%)

ახალი ხილი - ექსპორტი 17.4 მლნ. აშშ დოლარი (74%-ით და 7.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი (15.7 მლნ. აშშ დოლარი და 92%), სომხეთი (1 მლნ. აშშ დოლარი და 5%), აზერბაიჯანი (0.2 მლნ. აშშ დოლარი და 1%), ავღანეთი (0.2 მლნ. აშშ დოლარი და 1%).
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (2-ჯერ), ავღანეთი (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში არ განხორციელებულა).

სამრეწველო პროდუქცია:

სპილენძის მადნები - ექსპორტი 476.4 მლნ. აშშ დოლარი (27%-ით და 101.1 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ბულგარეთი (192.4 მლნ. აშშ დოლარი და 40%), რუმინეთი (144.8 მლნ. აშშ დოლარი და 30%), ჩინეთი (91 მლნ. აშშ დოლარი და 19%), ესპანეთი (31.7 მლნ. აშშ დოლარი და 6.6%), თურქეთი (13.7 მლნ. აშშ დოლარი და 2.9%);

- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ბულგარეთი (17%), რუმინეთი (3-ჯერ), ესპანეთი 71%
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: ჩინეთი (32%), თურქეთი (26%).

სამკურნალო საშუალებები - ექსპორტმა 141.9 მლნ. აშშ დოლარი (40%-ით და 40.6 მლნ. აშშ დოლარით მეტი). რე-ექსპორტმა მთლიან ექსპორტში 93% დაიკავა.

- ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: უზბეკეთი (49.8 მლნ. აშშ დოლარი და 35%), აზერბაიჯანი (21.8 მლნ. აშშ დოლარი და 15.3%), უკრაინა (15.0 მლნ. აშშ დოლარი და 10.5%), ყირგიზეთი (13.5 მლნ. აშშ დოლარი და 9.5%), რუსეთი (14.2 მლნ. აშშ დოლარი და 10%), თურქმენეთი (5.8 მლნ. აშშ დოლარი და 4%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: უკრაინა (6-ჯერ), ყირგიზეთი (70%), რუსეთი (98%), თურქმენეთი (90%), უზბეკეთი (50%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: ბელარუსი (21%), ყაზახეთი (21%), აზერბაიჯანი (13%).

ორთოპედიული სამარჯვები - ექსპორტი 12.3 მლნ. აშშ დოლარი (146%-ით და 7.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი). რე-ექსპორტმა მთლიან ექსპორტში 94% დაიკავა.

- ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: უკრაინა (5.6 მლნ. აშშ დოლარი და 45.5%), ლიეტუვა (1.2 მლნ. აშშ დოლარი და 10%), ჩინეთი (1.7 მლნ. აშშ დოლარი და 14%), თურქმენეთი (0.6 მლნ. აშშ დოლარი და 4%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: უკრაინასა და თურქმენეთში წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა, ლიეტუვა (6-ჯერ), ჩინეთი (31%).

მსუბუქი ავტომობილები - ექსპორტმა (რე-ექსპორტი) შეადგინა 454.2 მლნ. აშშ დოლარი (62%-ით და 175.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აზერბაიჯანი (163.9 მლნ. აშშ დოლარი და 36%), სომხეთი (129.2 მლნ. აშშ დოლარი და 28%), უკრაინა (55.5 მლნ. აშშ დოლარი და 12.2%), ა/გ ემირატები (41.5 მლნ. აშშ დოლარი და 9%), ყირგიზეთი (25.5 მლნ. აშშ დოლარი და 5.6%), ბელგია (5.4 მლნ. აშშ დოლარი და 1.1%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ყირგიზეთი(5 - ჯერ), აზერბაიჯანი (38%), სომხეთი (77%), უკრაინა (35%);
- ექსპორტი შემცირდა რუსეთში (17%).

სატვირთო ავტომობილები - ექსპორტმა (რე-ექსპორტი) 28.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (58.3%-ით და 10.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: სომხეთი (19.8 მლნ. აშშ დოლარი და 69%) და აზერბაიჯანი (7.5 მლნ. აშშ დოლარი და 25%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (96%), სომხეთი (58%).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ცოცხალი) - ექსპორტი 16.5 მლნ. აშშ დოლარი (23%-ით და 5 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ექსპორტი განხორციელდა: ერაყი (9.8 მლნ. აშშ დოლარი და 59%), აზერბაიჯანი (6.7 მლნ. აშშ დოლარი და 40%);
- ექსპორტი შემცირდა აზერბაიჯანში (36%), ერაყში (11%).

ცხვრის ხორცი - ექსპორტი 12.2 მლნ. აშშ დოლარი (52%-ით და 13.3 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ექსპორტი განხორციელდა: ირანი (10.2 მლნ. აშშ დოლარი და 83.6%), ა/გ საამიროები (0.8 მლნ. აშშ დოლარი და 6.5%), ქუვეითი (1 მლნ. აშშ დოლარი და 8%);
- ექსპორტი შემცირდა ირანში (57% და ა/გ საამიროებში (7%);
- ექსპორტი გაიზარდა: ქუვეითში (21%).

თევზის ფქვილი - ექსპორტი 8.2 მლნ. აშშ დოლარი (43%-ით და 6.3 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: თურქეთი (4.5 მლნ. აშშ დოლარი და 54%), ტაივანი (2 მლნ. აშშ დოლარი და 24%), სომხეთი (1.6 მლნ. აშშ დოლარი და 19.5%);
- ექსპორტი შემცირდა: ვიეტნამში (1.8 მლნ. აშშ დოლარით, მიმდინარე წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), თურქეთში (52%), ტაივანში (8%);
- ექსპორტი გაიზარდა სომხეთში (46%).

თევზის ცხიმი - 3.5 მლნ. აშშ დოლარი (69%-ით და 7.6 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: თურქეთი (2.9 მლნ. აშშ დოლარი და 82%), ჩილე (0.6 მლნ. აშშ დოლარი და 17%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: პერუ (2018/9-4.3 მლნ. აშშ დოლარი, მიმდინარე წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), თურქეთი (58%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ჩილე (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა).

თხილი - ექსპორტი 32.3 მლნ. აშშ დოლარი (34.7%-ით და 17.2 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: გერმანია (6 მლნ. აშშ დოლარი და 18%), იტალია (2.0 მლნ. აშშ დოლარი და 13%), ტუნისი (1.4 მლნ. აშშ დოლარი და 4.3%), რუსეთი (2.1 მლნ. აშშ დოლარი და 6.5%), ლიეტუვა (1.7 მლნ. აშშ დოლარი და 5.2%), ესპანეთი (1.9 მლნ. აშშ დოლარი და 5.8%), ყირგიზეთი (0.9 მლნ. აშშ დოლარი და 2.7%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: იტალია (54%), რუსეთი (60%) ლიეტუვა (3%),
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ტუნისი (4%), გერმანია (64%), ესპანეთი (16%); ყირგიზეთი (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა).

ხილ-ბოსტნეულის კონსერვები - ექსპორტი 6.5 მლნ. აშშ დოლარი (9.7%-ით და 0.7 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი (1.9 მლნ. აშშ დოლარი და 29%), ყაზახეთი (1.3 მლნ. აშშ დოლარი და 20%), გერმანია (1.2 მლნ. აშშ დოლარი და 18%), უზბეკეთი (0.3 მლნ. აშშ დოლარი და 4%), სომხეთი (0.2 მლნ. აშშ დოლარი და 3%), ჩეხეთი (0.2 მლნ. აშშ დოლარი და 3%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: სომხეთი (89%), ავსტრია (83%).
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი განხორციელდა 452 ათასი აშშ დოლარის) და ყაზახეთი (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა);

სპირტიანი სასმელები - 79.6 მლნ. აშშ დოლარი (17%-ით და 16.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). რე-ექსპორტმა მთლიან ექსპორტში 33% დაიკავა.

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი (22.3 მლნ. აშშ დოლარი და 28%), უკრაინა (21.4 მლნ. აშშ დოლარი და 26.8%), საფრანგეთი (5.6 მლნ. აშშ დოლარი და 7%), ბელარუსი (4.8 მლნ. აშშ დოლარი და 6%), ნიდერლანდები (3.5 მლნ. აშშ დოლარი და 4.3%), სომხეთი (3.4 მლნ. აშშ დოლარი და 4.2%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: საფრანგეთი (68%), ნიდერლანდები (20%), უკრაინა (3%),
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (57%), ბელარუსი (31%), სომხეთი (8%);

თამბაქოს შხა ნაწარმი - ექსპორტმა (რე-ექსპორტი) 43.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (47%-ით და 38.7 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი (26.0 მლნ. აშშ დოლარი და 61%), ყაზახეთი (4.8 მლნ. აშშ დოლარი და 11%), სინგაპური (3.8 მლნ. აშშ დოლარი და 9%), ვიეტნამი (2.0 მლნ. აშშ დოლარი და 5%);
- ექსპორტი შემცირდა: აზერბაიჯანში (54%), ყაზახეთში (61%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: სინგაპური (20%), ვიეტნამი (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა).

უალკოჰოლო სასმელები - ექსპორტი 21.4 მლნ. აშშ დოლარი (7%-ით და 1.6 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი (8.6 მლნ. აშშ დოლარი და 40%), აზერბაიჯანი (5.2 მლნ. აშშ დოლარი და 24%), სომხეთი (3 მლნ. აშშ დოლარი და 14%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (30%), სომხეთი (66%);
- ექსპორტი შემცირდა აზერბაიჯანში (48%).

სამრეწველო პროდუქცია

ფეროშენადნობები - ექსპორტი 240 მლნ. აშშ დოლარი (13.2%-ით და 31.8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- საექსპორტო ბაზრები: რუსეთი (98.1 მლნ. აშშ დოლარი და 40.8%), აშშ (87.5 მლნ. აშშ დოლარი და 36.4%), თურქეთი (13.2 მლნ. აშშ დოლარი და 5.5%), ირანი (10.5 მლნ. აშშ დოლარი და 4.4%), ბრაზილია (6.3 მლნ. აშშ დოლარი და 2.6%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: თურქეთი (48%), აშშ (24%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ირანი (234%), ბრაზილია (წ.წ ექსპორტი არ განხორციელებულა).


ნავთობი და ნავთობპროდუქტები - ექსპორტი 13 მლნ. აშშ დოლარი (73%-ით და 29 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). რე-ექსპორტმა მთლიან ექსპორტში 57% დაიკავა.

- ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: სომხეთი (3.2 მლნ. აშშ დოლარი და 24%), გაერთიანებული სამეფო (2.8 მლნ. აშშ დოლარი და 21.5%), აზერბაიჯანი (2.3 მლნ. აშშ დოლარი და 17.6%), ა/გ საამიროები (1 მლნ. აშშ დოლარი და 8%);
- ექსპორტი შემცირდა: სომხეთში (48%), 2019/9 წელს ექსპორტი არ განხორციელებულა-მალტა (2018/9-15.7 მლნ. აშშ დოლარით), საფრანგეთი (2018/9-9.8 მლნ. აშშ დოლარი), ა/გ ემირატები (77%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: გაერთიანებული სამეფო (24%), აზერბაიჯანი (61%).

იმპორტი


2019 წელს იანვარ-სექტემბერში, იმპორტის მიხედვით სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების პირველი ათეულის ჯამურმა იმპორტმა საქართველოს მთლიანი იმპორტის 65.9% დაიკავა. პირველ ადგილზეა თურქეთი 1 138.8 მლნ. აშშ დოლარით და 17.6% წილით, მეორე ადგილზეა რუსეთი 661.4 მლნ. აშშ დოლარით და 10.2%-იანი წილით, მესამე ადგილზეა ჩინეთი 647.2 მლნ. აშშ დოლარით და 10.0%-იანი წილით.

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2019 წლის იანვარ-სექტემბრის იმპორტის მიხედვით



2019 წლის იანვარ-სექტემბერში უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო პოზიცია ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო 543.2 მლნ. აშშ დოლარი და იმპორტის 8.4%, მეორე ადგილზეა მსუბუქი

ავტომობილები 483.2 მლნ. აშშ დოლარით 7.5%, მესამე ადგილზეა სპილენძის მადნები 412.4 მლნ. აშშ დოლარი და 6.4%.



ძირითადი საიმპორტო პროდუქცია სტრუქტურულ ჭრილში

სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის იმპორტმა 861.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (11%-ით და 111.9 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები), ხოლო **სამრეწველო პროდუქციის იმპორტმა** 5 612.9 მლნ. აშშ დოლარი (2%-ით და 111,1 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

იმპორტი შემცირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

თამბაქოს ნაწარმი - 57.6 მლნ. აშშ დოლარი (47%-ით და 51.5 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: უკრაინა (42.0 მლნ. აშშ დოლარი 73%), ჩინეთი (3 მლნ. აშშ დოლარი და 5%), ჰონკონგი (2.8 მლნ. აშშ დოლარი და 4.9%), ირანი (2.1 მლნ. აშშ დოლარი და 3.6%), ბელარუსი (1.8 მლნ. აშშ დოლარი და 3%), რუსეთი (1.8 მლნ. აშშ დოლარი და 3%);
- იმპორტი შემცირდა ქვეყნებიდან: უკრაინა (47%), რუსეთი (77%), ჰონგ - კონგი (49%);
- იმპორტი გაიზარდა ქვეყნებიდან: (ირანი 3.4-ჯერ), ბელარუსი (26%).

ხორბალი - 60.7 მლნ. აშშ დოლარი (15%-ით და 10.8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი (48 მლნ. აშშ დოლარი და 79%), ყაზახეთი (12.7 მლნ. აშშ დოლარი და 21%);
- იმპორტი შემცირდა რუსეთიდან (20.5%);
- იმპორტი გაიზარდა ყაზახეთიდან 2.4-ჯერ.

მცენარეული ზეთი - 22.4 მლნ. აშშ დოლარი (14%-ით და 1.6 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი (19.0 მლნ. აშშ დოლარი და 85%), უკრაინა (1.7 მლნ. აშშ დოლარი და 8%) და აზერბაიჯანი (1.2 მლნ აშშ დოლარი 5%);
- იმპორტი შემცირდა: რუსეთიდან (12%), უკრაინიდან (43%), აზერბაიჯანიდან 7%.

სამრეწველო პროდუქცია

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - იმპორტი 474 მლნ. აშშ დოლარი (18%-ით და 102 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა შემდეგი ქვეყნებიდან: რუმინეთი (118.3მლნ. აშშ დოლარი და 25%), რუსეთი (116.3 მლნ აშშ. დოლარი და 25%), აზერბაიჯანი (67.7 მლნ. აშშ დოლარი და 14%), თურქმენეთი (57.1 მლნ. აშშ დოლარი და 12%), ბულგარეთი(35.7 მლნ აშშ დოლარი და 8%);
- იმპორტი შემცირდა: ბულგარეთიდან (36%), რუსეთიდან (10%), რუმინეთიდან (9%);
- იმპორტი გაიზარდა: აზერბაიჯანიდან (2%) და თურქეთიდან (4-ჯერ).

არმატურა - 28.8 მლნ. აშშ დოლარი (43%-ით და 21.9 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- იმპორტი განხორციელდა შემდეგი ქვეყნებიდან: უკრაინა (14.6 მლნ. აშშ დოლარი და 51%), აზერბაიჯანი (10.7 მლნ. აშშ დოლარი და 37%), ირანი (2 მლნ. აშშ დოლარი და 7%), რუსეთი (0.9 მლნ. აშშ დოლარი და 3%), თურქეთი (0.7 მლნ. აშშ დოლარი და 2%);
- იმპორტი შემცირდა ქვეყნებიდან: რუსეთი (79%), უკრაინა (55%), თურქეთი (42%);
- იმპორტი გაიზარდა ქვეყნებიდან: აზერბაიჯანი (73%)

იმპორტი გაიზარდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

მსუბუქი ავტომობილები - 423 მლნ. აშშ დოლარი (4%-ით და 17 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: აშშ (184 მლნ. აშშ დოლარი და 43%), იაპონია (104 მლნ. აშშ დოლარი და 25%), თურქეთი (43.0 მლნ. აშშ დოლარი და 10%), გერმანია (35 მლნ. აშშ დოლარი და 8%);
- იმპორტი გაიზარდა ქვეყნებიდან: თურქეთი (81%), გერმანია (24%);
- იმპორტი შემცირდა აშშ (4%), იაპონიიდან (15%).

სპილენძის მადნები - 412.4 მლნ. აშშ დოლარი (39%-ით და 116.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: სომხეთი (164 მლნ. აშშ დოლარი და 40%), ავსტრალია (44.3 მლნ. აშშ დოლარი და 12%), ჩილე (90.7 მლნ. აშშ დოლარი და 22%), ავსტრალია (44.0 მლნ. აშშ დოლარი და 11%), პერუ (29.0 მლნ. აშშ დოლარი და 7%);

- იმპორტი გაიზარდა ქვეყნებიდან: ჩილე (4-ჯერ), პერუ (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტი არ განხორციელებულა), ბრაზილია (7%);
- იმპორტი შემცირდა სომხეთიდან (25%), ბრაზილია (46%).

ცემენტი და კლინკერი - იმპორტი 27.6 მლნ. აშშ დოლარი (14%-ით და 3.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი). მათ შორის ცემენტის იმპორტი 3.1 მლნ. აშშ დოლარი (68%-ით და 6.5 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები), ხოლო კლინკერი 24.5 მლნ. აშშ დოლარი - გაიზარდა 68%-ით მეტი.

- ცემენტის ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: აზერბაიჯანი (47%), თურქეთი (46%), სომხეთი (2.6%);
- კლინკერის იმპორტიორი ქვეყნები: აზერბაიჯანი (69%), თურქეთი (14%), საბერძნეთი (6%), შვეიცარია (5%) და ირანი (6%).
- ცემენტის იმპორტი შემცირდა ყველა ქვეყნიდან. მათ შორის: აზერბაიჯანი (93%), თურქეთი (42%), ირანი (95%);
- კლინკერის იმპორტი გაიზარდა ქვეყნებიდან: აზერბაიჯანი (109%), საბერძნეთი (125%);
- კლინკერის იმპორტი შემცირდა თურქეთიდან (17%).

საქართველოს საგარეო ვაჭრობა ქვეყნების მიხედვით 2019 წლის იანვარ-სექტემბერში

ქვეყნები	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა
საგარეო ვაჭრობა – სულ	2,719,228	6,474,508	9,193,736
მათ შორის:			
ევროკავშირის ქვეყნები	620,072	1,667,542	2,287,614
ავსტრია	1,635	58,553	60,188
ბელგია	11,232	67,535	78,767
ბულგარეთი	203,252	91,705	294,957
გაერთიანებული სამეფო	31,253	88,575	119,828
გერმანია	37,071	318,970	356,041
დანია	237	12,830	13,067
ესპანეთი	42,701	81,021	123,722
ესტონეთი	5,089	5,463	10,552
ირლანდია	608	8,129	8,736
იტალია	25,915	164,742	190,657
კვიპროსი	1,664	5,703	7,368
ლატვია	7,744	20,598	28,341
ლიტვა	29,811	26,884	56,695
ლუქსემბურგი	15	1,926	1,941
მალტა	362	2,280	2,643
ნიდერლანდი	24,008	116,425	140,432
პოლონეთი	16,445	114,458	130,903
პორტუგალია	135	10,090	10,225

რუმინეთი	150,173	153,298	303,472
საბერძნეთი	3,039	46,829	49,868
საფრანგეთი	18,241	119,039	137,280
სლოვაკეთი	437	8,549	8,985
სლოვენია	1,648	20,569	22,217
უნგრეთი	1,027	32,121	33,148
ფინეთი	93	13,889	13,981
შვედეთი	401	10,782	11,183
ჩეხეთი	5,637	61,004	66,641
ხორვატია	200	5,576	5,776
დსთ-ის ქვეყნები	1,430,943	1,704,681	3,135,625
აზერბაიჯანი	355,113	399,743	754,856
ბელარუსი	26,043	36,140	62,183
თურქმენეთი	55,228	79,523	134,751
მოლდოვა	5,685	7,649	13,334
რუსეთი	371,136	661,366	1,032,503
სომხეთი	261,294	202,843	464,137
ტაჯიკეთი	5,850	72	5,922
უზბეკეთი	71,891	9,223	81,114
უკრაინა	182,169	281,014	463,182
ყაზახეთი	52,359	25,159	77,517
ყირგიზეთი	44,176	1,950	46,126
დანარჩენი ქვეყნები	668,212	3,102,285	3,770,497
ავსტრალია	664	45,472	46,137
ავღანეთი	287	45	332
ალბანეთი	114	121	235
ალჟირი	145	14	159
ანგოლა	16	-	16
არაბთა გაერთიანებული საამიროები	58,222	107,437	165,658
არგენტინა	323	2,770	3,093
აშშ	97,846	295,752	393,599
ახალი ზელანდია	223	2,312	2,534
ბანგლადეში	222	1,042	1,264
ბაჰამები	-	1	1
ბაჰრეინი	151	28	179
ბელიზი	-	515	515
ბოსნია და ჰერცეგოვინა	20	293	313
ბრაზილია	6,735	71,308	78,044
ბურუნდი	-	70	70
ბუტანი	3	-	3
გაბონი	-	34	34
განა	90	11	101

გვინეა	11	-	11
ეგვიპტე	578	26,145	26,723
ეთიოპია	-	27	27
ეკვადორი	69	14,373	14,442
ერაყი	15,332	2,377	17,709
ვენესუელა	94	-	94
ვიეტნამი	4,574	5,992	10,566
ვირჯინის კუნძულები ბრიტანეთი	-	280	280
ზამბია	-	1	1
ზიმბაბვე	-	15	15
თურქეთი	155,035	1,138,800	1,293,835
იაპონია	9,190	150,232	159,422
ინდოეთი	3,360	31,336	34,696
ინდონეზია	761	8,157	8,918
იორდანია	186	490	676
ირანი	56,627	140,330	196,957
ისლანდია	-	3,221	3,221
ისრაელი	9,140	11,050	20,190
კამბოჯა	112	2	114
კამერუნი	1	-	1
კანადა	1,507	9,883	11,391
კენია	1,533	473	2,006
კოლუმბია	2,387	188	2,575
კონგო	28	-	28
კორეა რესპუბლიკა	6,178	52,056	58,234
კოსტა-რიკა	-	344	344
კუბა	932	181	1,113
ლესოთო	-	4	4
ლიბანი	392	5,819	6,210
ლიბია	167	-	167
ლიხტენშტაინი	-	546	546
მაკედონია	48	1,263	1,310
მალავი	-	1	1
მალაიზია	722	8,360	9,082
მალი	810	70	880
მაროკო	180	1,747	1,927
მექსიკა	440	2,414	2,853
მონაკო	0	279	279
მონტენეგრო	6	241	248
მონღოლეთი	924	-	924
ნეპალი	19	9	28
ნიგერი	23	0	23

ნიგერია	72	16	88
ნორვეგია	49	6,547	6,596
ომანი	92	40	132
პაკისტანი	336	3,034	3,370
პანამა	2,096	-	2,096
პარაგვაი	-	298	298
პერუ	8,992	28,933	37,926
რუანდა	17	-	17
სალვადორი	-	9	9
სამხრეთი აფრიკა	335	14,742	15,077
სან-მარინო	-	102	102
საუდების არაბეთი	2,384	2,250	4,634
საფრანგეთის პოლინეზია	134	-	134
სეიშელები	1	166	167
სენეგალი	4	-	4
სერბეთი	11	5,323	5,334
სინგაპური	9,370	10,203	19,573
სირია	95	130	225
სომალი	31	-	31
სუდანი	144	72	216
ტაივანი	2,263	8,708	10,970
ტაილანდი	399	16,096	16,495
ტანზანია	3,873	7	3,880
ტოგო	5	-	5
ტუნისი	1,454	278	1,731
უგანდა	4	2	6
ურუგვაი	588	448	1,035
ფარერის კუნძულები	-	202	202
ფილიპინები	369	27,412	27,780
ქუვეითი	3,709	23	3,733
ყატარი	887	1,950	2,837
შვეიცარია	57,818	42,996	100,814
შრი-ლანკა	1	2,143	2,144
ჩადი	2,058	72	2,130
ჩილე	3,602	91,963	95,565
ჩინეთი	125,162	647,217	772,378
ჯიბუტი	6	80	86
ჰონ-კონგი	5,430	46,894	52,324